**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 126 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 126

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## რედაქციისაგან

**პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან. 50 კაპ.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარედ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.

## ახალი წიგნი

ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

**პრაქტიკული სახელმძღვანელო**

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

**для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.**

**ფასი 1 მან.**

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ საწყობში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

**გამოვიდა ღ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი**

## ლალაჩი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათ ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი“-ს

## საზაფხულო სამყოფი

**ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა**

## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედა ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

[illegible] ღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნა გო[illegible] დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული იმ [illegible]ს ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც [illegible] როება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

[illegible] განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, [illegible]ხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და [illegible]

არ მი[illegible]ბა მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჰლექით დაავად[illegible]ფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყო[illegible] არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**

**15** ივნისიდგან **15** მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—15)

## იყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან**. (5—2).

ვიღებ საეკლესიო **პანკენ-ლების სამხატვრო საქმეებს.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ უანჩაველს. (7—3)

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი** სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ

საგანგებო საგუბერნიო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია 12 ივნისისათვის 1904 წლ. დღისით 1 საათზედ თ-დ ქობულოვის სახლებში (არშაკუნიანისეული, გრიბოედოვის ქუჩაზედ) ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოგების გასანაწილებლად შედგენილ პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად. (3—6—3).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჩანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ Общество распрстр. грамотности.**

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 169 83

ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი **სამი შაური**

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით ამიერიდგან მიიღება ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად აწ განსვენებულის დიდი მთავრინასი ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის ასაგებად ტფილისში. (3—6.—3)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, ელისაბედის ქუჩა, № 41.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს.-ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და სახებით ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი **№ 34.**

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მუღინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ, 9—10 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი **№ 274**

(წ.)


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონიის ჯარის განაწილება.—რუსის ჯარის რაოდენობა მანჯურიაში.—რუსის ჯარის გალაშქრება პორტ-არტურის დასახსნელად,—წვრილი ცნობები.

ეხლა ბეჯითად ითქმის, რომ იაპონიის ჯარი, საომრად გაწყობილია, ან უკვე ომის ველზეა, ან იაპონიიდგან გამგზავრებულა და მანჯურიის ნაპირებზე გადადის სხვა და სხვა ადგილსო,—ამბობს «რუს. ვედ.»-ის სამხედრო მიმომხილველი. იაპონიის ჯარი გაყოფილია სამს ლაშქრად და თითქმის ვიცით, რომელი ლაშქარი რამდენ ჯამდენ ჯარის კაცისაგან შესდგება და რა ძალა უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ოთხის დივიზიის (5, 6, 8 და 9) შესახებ არა გვაქვს უტყუარი ცნობები, რომელ ლაშქრის შეჰმატებიან. მე-5 და მე-6 დივიზიების შესახებ ითქმის, რომ გენერალ კუროკის ლაშქარში უნდა იყვნენ, რადგან ისინი ყველაზედ ადრე იყვნენ საომრად განწყობილნი. მე-8 დივიზიაც გენერალ კუროკის უნდა ემორჩილებოდეს. ხოლო მე-9 დივიზია, საფიქრებელია, გენერალ ოკუს ლაშქარში იქმნება მე-7, 10, 11 და 13 დივიზია, ერთი ცალკე შემდგარი კავალერიის დივიზია გენერალ ნოძუს ლაშქარში იქმნება და ერთიც—გენერალ ოკუსაში.

ამ ცნობებს რომ დავემყაროთ, იაპონიის ჯარი მანჯურიაში ამ ჟამად ესე უნდა იყოს განაწილებული მანჯურიაში:

გენერალ კუროკის ლაშქარი:

გვარდიის დივიზია (გენერალ ხასეგავას უფროსობით)—ხაბალინთან.

მეორე დივიზია (გენ ნიში)—ფინხუანჩენს.

მეხუთე (გენ. იამაკუჩი)—ქუანდიანსანს.

მეექვსე (გენ. ოკუბო)—ფინხუანჩენს.

მერვე (გენ. ტათსუმა)—ხაბალინთან.

მეთორმეტე (გენ. ინუე)—ფინხუანჩენს.

პირველი სათადარიგო კორპუსი—პიამინთან.

მეორე სათადარიგო კორპუსი—დაიანხეს.

ერთი სათადარიგო ბრიგადა—მდინ. იალუსთან.

ერთი კავალერიის ბრიგადა—საიმაძისთან.

ციხის მმუსრავი არტილერია—ფინხუანჩენს.

ამ ლაშქარში არის 122,000 ჯარის კაცი და 272 ზარბაზანი.

გენერალ ოკუს ლაშქარი.

პირველი დივიზია (გენ. ფუშიმა)—ქ. დალნისთან.

მესამე (გენ. ი. ოშიმა)—ტალიენვანთან.

მეოთხე (გენ. ოგავა) — ნანგუგუან-ლიანთან.

მეცხრე (გენ. გ. ოშიმა)—დალნისთან.

სათადარიგო კორპუსი—ძინჯოუსთან.

მეორე არტილერიის ბრიგადა—დალნისთან.

ციხის მმუსვრელი არტილერია, მ ზღვაურთა და რკინის გზის ბატალიონი—სხვა და სხვა ადგილს.

ამ ლაშქარში არის 89,000 ჯარის კაცი და 476 ზარბაზანი.

მარშალ ნოძუს ლაშქარი.

მეშვიდე დივიზია (გენ. ოსაკო)—ბიძივოსთან.

მეათე (გენერალ კავამურა) — დაგუშანთან.

მეთერთმეტე (გენ. ცუშია)—პულანდიანთან.

მეცამეტე (სარდალი არა სჩანს)—ჩენტაიძს.

ერთი სათადარიგო კორპუსი—სანშილიპუს.

ერთი სათადარიგო კორპუსი—დაგუშანთან.

ერთი კავალერიის ბრიგადა (გენერალ აკკიამა), ერთი არტილერიის ბრიგადა და ციხის მმუსვრელი არტილერია—სხვა და სხვა ადგილას არის.

ამ ლაშქარში არის 85,000 ჯარის კაცი და 288 ზარბაზანი.

სულ სამს ლაშქარში იქმნება 298,000 მეომარი და 1036 ზარბაზანი. ამას უნდა დავუმატოთ მსწრაფლ-მსროლელი არტილერია, სატელეგრაფო რაზმები, ჰაეროსტატის მემანქანენი, საინჟინერო რაზმები და სხვა.

მოტყუებული არ ვიქმნებით, იაპონიის ჯარი, მანჯურიაში გასული, 300,000 კაცამდე რომ ვიანგარიშოთ; ამ ჯარს 1,060 ზარბაზანი ექმნება.

—

«ბერლინის ტაგბლატის» სამხედრო მიმომხილველი ამბობს:

სამხედრო პუბლიცისტების ვარაუდით, 300,000 ჯარის კაცსა და 100,000 ცხენს მოუნდება დღეში 1,600 ტონნი სურსათი (100,000 ფუთამდე). ამ სურსათის გადაზიდვას 175 ვაგონი უნდა, ანუ 7 მატარებელი 25 ვაგონიანი. რუსებს კი, როგორც ცნობები ამტკიცებენ, მხოლოდ 6 სამხედრო მატარებელი დაჰყავთ ყოველ დღე. ამიტომ იაპონელების მოსაზრება, რომ რუსებს 250,000 ჯარის კაცზე მეტი არ შეუძლიანთ იყოლიონ მანჯურიაში, თითქმის მართლდება.

რუსეთმა რომ განუწყვეტლივ ჰგზავნოს შორეულ აღმოსავლეთისკენ ყოველ თვეს 20,000 ჯარის კაცი (ამაზედ მეტი შეუძლებელია), მაშინ სურსათით ველარ დააკმაყოფილებს თავის ჯარს.

1900 წელი ამ მხრივ კარგს ცნობებს იძლევა. იმ დროს რუსის ჯარს სურსათი სულ ევროპიდგან ეგზავნებოდა. ხაბაროვსკისა, ნიკოლაევსკისა, პორტ-არტურისა და სრეტენსკის საიტენდანტო საწყობებში ისე ცოტა იყო სურსათი, რომ იქ სამუდამოდ დაბინავებულ ჯარსაც ვერა ჰყოფნიდა. ადგილობრივ კი სურსათი არ იშოვებოდა, რადგან იმ წელს ცუდი მოსავალი იყო.

რუსის საიტენდანტო მაღაზიები შორეულ-აღმოსავლეთში მხოლოდ პირველ ივლისამდე დააკმაყოფილებენ 200,000 ჯარის კაცს. ივლისიდგან კი რუსის ჯარი ველარ იშოვის მანჯურიაში, გარდა თივისა, რომელიც იქ საკმაოდ და კარგის თვისებისა უნდა იყოს. შესაძლოა, ცოტა საკლავიც იშოვნონ, ხოლო მთლად სურსათი ევროპიდგან უნდა გადიტანონ. ციმბირის რკინის გზა ამ სურსათის ზიდვას მოუნდება და მეტიც არ მოეთხოვება (პ. ც.).

—

«დ.-ექს» ატყობინებენ, ლიაოიანში რუსებსა ჰყავთ ქვეითის ჯარის ორი დივიზია, 3000 ყაზახი და 70 ზარბაზანიო (პ. ც.).

—

ლიაოიანიდგან დეპეშით იუწყებიან: 21 მაისს, სწორედ იმ ადგილს, სადაც 17 მაისს ასმა ყაზახმა იაპონელების ესკადრონი ასჩეხა, კიდევ მოხდა ბრძოლა. ჯერ რუსის ოთხმა როტამ ასტეხა სროლა, ხოლო არც ერთს მხარეს არა დააკლდარა. ნაშუადღევის 2 საათზედ რუსის ჯარს მიეშველა ასი ყაზახი, მსროლელთა რაზმი და არტილერია. არტილერიამ დაუშინა ყუმბარა სოფელს, სადაც იაპონელები იმალებოდნენ. მტემა ვერ შესძლო ბრძოლა და გავიდა სოფლიდგან. მამაცურად მოიქცა როტის უფროსი ჩიკიშვილი, რომელიც პირდაპირ შეება მტერს და უკუაქცია. იაპონელებმაც ზარბაზნები დაუშინეს რუსის ჯარს. ბრძოლა მხოლოდ ღამემ შესწყვიტა. ჩვენ ერთი კაცი მოგვიკლეს და 16 დაგვიჭრეს. იაპონელებმა იმ ღამეს 60 მოკლული ჯარის კაცი დამარხეს. 120 კაციც დაჭრილი ყოფილა (ნ. ც.).

—

იაპონელების ჯარი ეხლა დალნისა და ტალიენვანში გადაჰყავთ, საწყობებსაც იქ ამზადებენ. პატარა გემებითაც მიჰყავთ ჯარი ბიძივოდგან ანუ ელიოტის კუნძულებიდგან. ამბობენ, ჩინელები გაქცევას აპირობდნენ პორტ-არტურიდგან და რუსებმა დახვრიტესო. სხვა წყაროებითაც მტკიცდება ეს ამბავი (ბ. ც).

—

ბერლინის გაზეთებს ატყობინებენ იოკოგამიდგან, რუსები თვალ-ყურს ადევნებენ ჩინელებს, რომ პორტ-არტურიდგან არ გაიპარნენ და საიდუმლო ამბები არ გადასცენ იაპონელებსაო. «დეილი ტელ» იუწყება. ჩინელებს აკრძალული აქვს პორტ-არტურიდგან გასვლა. 60 ჩინელი გაპარვის დროს. დაუჭერიათ და დაუხოციათო. ამ ამბის წამლებ ჩინელის სამი ამხანაგიც მოჰკლესო (რ. ც.).

—

რუსის ჯარის შესახებ, რომელიც პორტ-არტურის დასახსნელად მიდის, ნამდვილი არა იციან-რა. ამბობენ, 45,000 ჯარის კაცი გაუგზავნიათო. თუ ეს მართალია, ეტყობა, მთელი ლაშქარი მიდის სამხრეთისაკენ (რ. ც.).

—

რუსის გაზეთებს საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ გენერალ კუროპატკინმა ჯარი გაგზავნოს პორტ-არტურის დასახსნელად.

ლიაოიანიდგან ჩვენის ჯარის წასვლა სამხრეთისკენ პორტ-არტურის დასახსნელად და ისიც ორის დივიზიისა არამც თუ საეჭვო, არამედ შეუძლებელია და მოუფიქრებელიც, - ამბობს «ტორ. პრომ. გაზეთი». ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პორტ-არტურის შერყევის შიში სულაც არ უნდა გვქონდეს. ის ეხლა კარგად ასრულებს თავის დანიშნულებას, რისთვისაც აშენებდნენ, ამაგრებდნენ და მილიონებსა ჰხარჯავდნენ. პორტ-არტურისკენ რომ ჯარი გაიგზავნოს, მანჯურიის ლაშქარი შესუსტდება და საფრთხეში ჩავარდება, რადგან მის წინ გენერალ კუროკის ძლიერი ლაშქარია, რომელიც გაგზავნილ ჯარს უკან შემოერტყმის და გაიცალკევებს. სულ სხვაა, მხედართა ჯარი რომ გაიგზავნოს, რომელიც ისე სწრაფად იმოქმედებს, რომ უკან დასაბრუნებელ გზას ვერავინ გადუჭრის. რადგან იაპონიის მხედრობა სუსტია, ჩვენი ყაზახები ძალიან გაუჭირებენ საქმეს და მრავალ უბედურობას მიაყენებენ ოქუს ლაშქარს, რომელიც ისე გაბედულად ველარ წავა პორტ-არტურზე.

—

«ნ. ი. ჰერ.» ატყობინებენ, მონგოლიაში ჩინეთს იმდენი ჯარი არა ჰყავს, რამდენსაც აქამომდე იწერებოდნენო. სულ რომ 10,000 კაცი იყოს, მეტი არ იქმნება და მათგან 2,000 ახალგაზდა კაცი ეხლა გაიწვიეს სამხედრო ბეგარაზე და ჩაო-იანში სწვრთნიანო. პინგ-ჩუანის აღმოსავლეთად გენერალ მაის მხოლოდ 3,000 კაცი ჰყავსო.

დანარჩენი რაღა იქმნა? -- ჰკითხავს «ნოვოსტი». ვინ იცის, იქმნება ხუნხუზებად გადიქცნენ და იაპონელებს მოჯამაგირედ დაუდგნენო.

—

«ფიგარო» იუწყება, ომში დაჭრილ რუსის ჯარის კაცთათვის 22 მაისამდე საფრანგეთში 640,174 ფრანკი შეგროვდაო (ნოვ.).

—

პეტერბურგიდგან ატყობინებენ ევროპიულ გაზეთებს, გენერალ კუროკიმ შეუთვალა მანჯურიის ლაშქრის მთავარ-სარდალს, ტყვეები გავცვალოთო, და გენერალ კუროპატკინმა უარი განუცხადაო («ნოვ.»).

—

ძინ-ჯოუს ომში, როგორც «ჟურ. დედებ.» იუწყება, ვითომც იაპონელთა ოფიციალურ ცნობებით, იაპონელებს ბევრი მეომარი დაუკარგავთ, ვიდრე აქამომდე ამბობდნენ: ორს იერიშით იაპონელებს მოუკლეს 33 და დაუჭრეს 100 აფიცერი; დაბალი ჯარის კაცები კი პირველ იერიშში მოუკლეს 706 და დაუჭრეს 3,356, ხოლო მეორეში 749 მოუკლეს და 3560 დაუჭრესო. სულ ძინჯოუსთან მოკლულია 33 აფიცერი და 1,550 დაბალი ჯარის კაცი და დაჭრილია 100 აფიცერი და 6916 დაბალი ჯარის კაცი (ნ. ც.).

—

ნიუ-ჯუანიდგან დეპეშით ატყობინებენ «კენ. გაზეთს», ვითომც 23 მაისს იქ ორი მტრედი გადაფრენილიყოს პორტ-არტურიდგან და გენერალ სტესელის წერილი მიეტანოთ. (რ. ც).

—

პარიჟში ხმა გავრცელდა და სწრაფად სხვა ქვეყნებსაც მოედო, ვითომც რუსის ყაზახებმა გენერალი კუროკი ტყვედ წაიყვანესო. იმ ღამეს, როდესაც ეს ჭორი დეპეშით გაუგიათ პარიჟელებს, ტელეგრაფი და ტელეფონი განუწყვეტლივ მუშაობდა თურმე, რომ ნამდვილი გაეგოთ, მაგრამ ამაოდ. იაპონელთა ლაშქრის სარდალმა არ გაახარა მეჭორე და აკი ტყვედ არ გაჰყვა. (ნოვ.),

—

გენერალ სტესსელს თავის მეგობრისთვის მიუწერია პორტ-არტურიდგან:

«არ ვიცი, შევხვდებით კიდევ ერთმანეთს თუ არა. მაინც და მაინც, რაც უნდა დამავალონ, მე გადაწყვეტილი მაქვს, რომ სიცოცხლე შევწირო რუსეთს. რაც უნდა მოხდეს, მე არ დავმორჩილდები. პორტ-არტური ჩემ საფლავად გადიქცევა» («ნოვ» ).

—

იტალიური გაზეთები იუწყებიან, ვითომც იაპონელებმა პორტ არტურის ციხის გარეთა სიმაგრები აიღეს და რუსებმა მცირე წინააღმდეგობა გაუწიესო. იაპონელთა ოთხმა დივიზიამ ქვანდვინის მაღლობები დაიჭირა და იმ მაღლობებზე, რომლებიც პორტ-არტურს გადასცქერიან, ციხის სანგრევი ზარბაზნები ამართაო.

რუსის ესკადრა ვითომც გასვლას აპირობდა პორტ არტურიდგან, მაგრამ იაპონელების ესკადრა დახვდა და უკან დაბრუნდაო (იქვ.).

—

რუსები სცდილობენ პორტ-არტურის წინ ჩაყრილი ნაღმი ამოჰკრიბონ; ეს იმას უნდა ნიშნავდესო, იწერებიან ტოკიოდგან, რომ განზრახვა აქვთ, მოულოდნელად გემები გამოიყვანონ და იაპონელთა ფლოტს მედგრად შეებრძოლონო (რ. ც.).

# ტფილისი

—

*** გუშინ-წინ «ბანკის ბაღში» ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულმა სეირნობამ კარგა ჩაიარა. დარი კარგი იდგა დილიდან საღამომდე, ამიტომ მრავლად მოვიდა ხალხი სეირნობაზედ. სულ შემოსავალი 1000 მანეთამდე იყო, წმიდა მოგება დარჩება 700—800 მანეთამდე.

*** ქუთაისიდან ბ-ნ სიმონ ღოღობერიძისაგან მივიღეთ შემდეგი დეპეშა: «21 მაისს კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი პეტრე უმიკაშვილის სულის მოსახსენიებლად. დაესწრენ თავადაზნაურობისა, ქალაქის თვით-მმართველობისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მრავალი პატივის მცემელი განსვენებულის მოღვაწისა».

*** ამ კვირია კრება ექმნება ტფილისის სატეხნიკო საზოგადოებას რამდენისამე საყურადღებო საგნის განსახილველად.

*** სომეხთა ნერსესიანის სასულიერო სემინარიაში წელს 20 კაცმა დაასრულა კურსი.

*** დღეს, პირველ ივნისს, კრება ექმნება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას, რომელიც, სხვათა შორის, მოისმენს წევრთა რამდენსამე მოხსენებას.

*** სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება მოკლე ხანში აბას-აბადის მოედანზე დააარსებს იაფ-ფასიან და უფასო სასადილოს ბავშვთათვის. სასადილოს დაარსების ნებართვა საზოგადოებამ ამ დღეებში მიიღო.

*** მოკლე ხანში კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება განიხილავს საზოგადოების საბჭოს მიერ შემუშავებულ ინსტრუქციის პროექტს, რომლითაც ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის გამგეობამ უნდა იხელმძღვანელოს.

*** ამიერ-კავკასიაში გამოგზავნილ იქმნა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ კაცი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობანი.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, არტილერიის მოედანზე გააშენოს ბაღი, მაგრამ საქმის განხორციელებას ჯერ-ჯერობით ხელს უშლის ის გარემოება, რომ ამ მოედანს მფლობელობს სამხედრო უწყება. ქალაქის გამგეობამ დაავალა ქალაქის მიწის მზომელს, გაიგე, რის ძალით სარგებლობს სამხედრო უწყება იმ მოედნით, რომელიც ქალაქის საკუთრებას შეადგენსო. მიწის მზომელმა გადასინჯა ყველა საქმეები და ვერ აღმოაჩინა ისეთი ქაღალდები, რომლიდგანაც შეიძლებოდეს, იმის გაგება, მოედანი ქალაქს ეკუთვნის თუ სამხედრო უწყებას.

*** ქალაქის საბჭოს ოთხს ხმოსანს მიენდო ყოველ საპოლიციო უბნებთან ღარიბთა სამზრუნველოს ხარჯთ აღრიცხვის პროექტის შედგენა, წინად აზრად ჰქონდათ, სამზრუნველოს ჩაებარებინათ რომელისამე საქველმოქმედო საზოგადოებისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელებმა უარი განაცხადეს.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ, თანახმად ხმოსნის სურენიანცის მოხსენებისა, ხელმეორედ მისცა ბელგიის უსახელო საზოგადოებას წინადადება, აიღებთ თუ არა ჯარით ტფილისში საჰაერო-ელექტრონის სადგურის მოწყობასაო.

*** ამას წინად ინჟინერმა ნ. ნ. პოლცოვმა საგეოგრაფიო საზოგადოებაში მოხსენება წაიკითხა წყალდიდობის შესახებ. რადგან ეს მოხსენება საყურადღებოა, ამიტომ საზოგადოებას განუზრახავს ცალკე წიგნად აღბეჭდოს. ხარჯს ცალკე წიგნად გამოსაცემად კისრულობს ზოგს საგეოგრაფიო საზოგადოება და ზოგს სატეხნიკო საზოგადოება.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა კავკასიაში გამოიწერა 100 სეტყვის ამცდენელი ყუმბარა, რომელიც კახეთში უნდა მოაწყონ.

*** ტფილისის მაზრაში სიცივეებსა და წვიმებს მოსავალი გაუფუჭებია, ბოლო დროს, როგორც გვწერენ, ნათესები ცოტად გამობრუნებულა, ვენახები არ დაზარალებულა.

# ნარკვევი

—

„ს. პეტ. ვედ“-ი ამტკიცებს, რომ ახლა ჯერ დრო არ არის ზავისა და მშვიდობის ჩამოგდებისათვის ვიზრუნოთ, როგორც სცდილობს ამას ზოგიერთი გაზეთიო. ისინი ამბობენ. რომ ერთი ორჯელ მივბერტყოთ ლაზათიანად იაპონელთა ჯარი და მასუკან მაშინვე ზავი ჩამოვაგდოთ, რადგან გაჭიანურებული ომი დიდათ საზარალოა ქვეყნისათვის და ნამდვილი ღვთის რისხვაა, ერის გამაღარიბებელია და დამასუსტებელიო. თვით «ს. პეტ. ვედ.»-ი კი სულ სხვას ამბობს: ერთი-ორი გამარჯვება არა კმარა, უნდა სულ გავსრისოთ იაპონელთა ლაშქარი, თავზედ კაკალი დავამტვრიოთ და მერე შეიძლება ზავის ჩამოგდებისათვის ვეცადოთო. ზავი ისე უნდა ჩამოვაგდოთ, რომ ინგლისი არ გაერიოს საქმეში, თორემ მეორე ბერლინის კონგრესს გაგვიმართავს და გამარჯვების ნაყოფს ხელიდამ გამოგვაცლისო. ინგლისი ჩვენი მტერია. არ გვიცნობს და იმიტომაო. ამას ჩვენ გაბოროტებულ და უკულტურო ბარბაროსებად მივაჩნივართო. საფრანგეთი ხომ ჩვენი მეგობარია და ისიც კი არ გვიცნობს რიგიანადაო. მაგალითად, იმათი ჰგონიათ, რომ რუსეთში არსებობს სექტა პრახვოსტებისა, რომელიც ძრიელ გავრცელებულიაო. რათა ევროპა უფრო კარგად გვიცნობდეს, ამისათვის საჭიროა, რუსეთის მწერლობამ, კანონიერის გზით მავალმა, უფრო უკეთა და ყოველ-მხრივ გააშუქოს ცხოვრება და ზნე-ჩვეულება უცხო ერთა.

# ფელეტონი

—

**აგადმყოფის გოდება.**

ღამეა, მხოლოდ წყვდიადი მეფობს.
მაღლა ცა არ სჩანს, ძირს არე-მარე.
ბოროტი სული დაძრწის, ხარხარობს,
დღესასწაულობს ბნელის მოყვარე.
ღამის ტრფიალნი—კუდიანები
დაწანწალობენ ტყე-მინდორ-ველად,
რომ ხელში იგდონ საკბილოები
„დოდორუკაპის“ მისართმეველად...
ოჰ, რა ღამეა!.. ნეტა როდემდის
უნდა ვიტანჯო ამ სიბნელეში?
ხომ არ მოვკვდები გათენებამდის?
დღეს ხომ ვიხილავ ჩემ სიცოცხლეში?
ოჰ, მიპასუხეთ! იმედის სხივი
მოჰფინეთ ჩემს გულს, სევდით დაღარულს,
რომ გაიფანტოს ფიქრები შავი,
მივეცე წუთით შვება-სიხარულს!
არ მსურს სიკვდილი, მინდა სიცოცხლე,
მინდა ვიხილო მეც განთიადი,
მინდა გამეფდეს ქვეყნად სინათლე,
რომ მის ფერხთა ქვეშ გაჰქრეს წყვდიადი!
მსურს—დიდებულ დღეს, ქრისტეს აღდგომას,
დავესწრო სახე გაბრწყინვებული,
ვუყურო თვალით მტარვალთ დამხობას,
ვნახო სიმართლე გამარჯვებული!

გ. რუხაძე.

—

**სიმღერა** [1])

(აღმოსავლეთის ელეგია).

ვუძღვნი ნ. გ—ას გ—ძეს.

ნარნარ პერისა [2]) მზგავსმა ერთხელა
გაინავარდა სიმღერამ ქვეყნად,
მისი გამგონე მთელი ბუნება
უცებ გაყუჩდა, გადიქცა სმენად...
მთვარისა შუქზე ხმა საამური
უფრო და უფრო ძლიერდებოდა
და არე-მარე, მთლად მოხიბლული,
იმას ალერსით ეგებებოდა...
ბალახ-ბულახი, ხე და მცენარე
ყოველივე იმას თაყვანსა სცემდა;
ანკარა წყლები აღარ იძროდა,
მოწიწებითა მას ყურს უგდებდა...
თვით ჰია-ღუა, ქვეწარმავალიც,
თუ სადმე იყო მაშინ მიწაზე,
ყველა ხარობდა და მოილხენდა
ამ ჰარმონიით აღსავსე ხმაზე...
მაგრამ კაცი-კი... მხოლოდა კაცი
კარავთან იჯდა დაღონებული
და არ ესმოდა ეს ტკბილი ხმები,—
ცრემლებსსა ჰღვრიდა გამწარებული...
რა რომ შენიშნა ეს მას ნარნარმა,
საჩქაროდ იგი მასთან მიფრინდა
და ჰკითხა იმას გულის ტკენითა:
—რამ დაგაღონა? მითხარ, რა გინდა?
—რამ დამაღონა?—მიუგო კაცმა:
—აი მან, რომა ტანჯვა-წვალება,
დედის მუცლიდგან თან დაყოლილი,
როცა მოვკვდები, კვლავ თან წამყვება.—
—მაშ, სინჯე ერთი,—უთხრა სიმღერამ:
—მო, გამიგონე ეს დარიგება:
იმღერე ჩემებრ და უეჭველად
შენც გულზე დარდი გადაგეყრება!..
—ვერ მოვახერხებ!..
—მაშინ მოყვასთან
მიდი, ეძებე მონუგეშება!..
—მე ობოლი ვარ, არ მყავს მოყვასი,—
მიუგო იმას ადამიანმა,—
და ამოუშვა თანვე ზლუქუნი
გამწარებულმა, თვალ-ცრემლიანმა.
—ნუ სტირი, კმარა!—უთხრა სიმღერამ:
—მე აქ კარავში შენთან დავრჩები
და აწ საერთო გვექნება მარად
როგორცა ლხინი, ისე დარდები...
მხოლოდ, გახსოვდეს, რომა ცრემლებსა
ადგილი არ აქვს ჩვენს ცხოვრებაში
და შენთა გრძნობათ გამოხატავდე
უეჭველადა ლილინ-მღერაში!..
აი ამ დღიდგან სიმღერამ ზეცა
დასტოვა, ქვეყნად დასახლდა კაცთან,
ჭირში და ლხინში ამას შემდეგა
განუშორებლად იგია მასთან,
მაგრამ მასთანვე იმისი კილო
გადასხვაფერდა, მთლად შეიცვალა
და აღარ ისმის ეხლა იმაში
წინანდებური მომლხენი ძალა.
სამაგიეროდ ის ჩვენ გადმოგვცემს
გულის იარებს, დაწყლულებასა,
ბედისა წყევას, იმედის დანსხვრევას,
ოხვრა კვნესასა, აღშფოთებასა...
ცასავით ვრცელსა და ზღვასიებრ
ადამიანის მწუხარებასა!..
უიმედობით სავსე ამ ხმაზე
მცენარეობა ჰღვრის ახლა ცრემლებს
და ტურფა მდელო შეწუხებული
ეძლევა გულის შემზარავ ფიქრებს;
ცის ჰორიზონტი შავად ისვრის
და მთელი არე დაბნელებული
ყურს უგდებს კაცის კვნესა-მოთქმასა
სულ განაბული, დაღონებული...

პეტრე.

[1]) ეს „სიმღერა“ იყო დაბეჭდილი პროზად გაზეთ „კასპის“ № 92-ში 27 აპრილს 1903 წ. და იქიდგან გავლექს-გადმოვაკეთ-გადმოვთარგმნე. ავტ.

[2]) პერი—ძველი სპარსელების საზღაპრო და მომხიბვლელი ქალია, რომელიც სთესავს კაცთა შორის ბოროტსა და კეთილს. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კიდევ არა კმარა. რუსეთის გაცნობა უცხოელთაგან დიდი საქმეა ჩვენთვის. ამისათვის კი საჭიროა, ჩვენს მწერლობას მეტი ფართო-გაშლილობა ჰქონდეს. როცა ასე იქნება, ცხოვრება ჩრდილოეთის დიდის სახელმწიფოსი უცხოელებს გამოცნად არ ექმნებათ დასახული. ახლა კი, ამ საქმეში ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა თითქმის მდუმარებს. საყურადღებო და დამახასიათებელი, ნიშნობლივი თვისებანი ჩვენის ცხოვრებისა და საზოგადო მოღვაწეობისა, გამრჯელობისა ჯეროვნად არ არის შექ-მიფენილი, გამომჟღავნებული. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ ევროპა ნაკლებად გვიცნობს და ნაკლებადაც გვაფასებს.

## ჩვენებური ამბები

**ქ. თელავი.** არ ვიცი, როდის მოუვიდათ ფიქრად თელავის მამათ საქალაქო დუქნების აშენება რიყის პირას, მხოლოდ ეს საქმე მაშინ დაიწყეს, მოურავის არჩევის დრო რომ მოახლოვდა. საქალაქოთ რამდენიმე დუქანი უნდა გაეკეთებინათ. ყველას მოსწონდა ეს აზრი. დუქნებიდამ კარგი შემოსავალი ექნებოდა თელავს. დაიწყეს-კიდეც ადგილის მზადება, ხევში გალავანი ჩაავლეს, ამით მოედანი გაფართოვდა, მაგრამ სამაგიეროდ, რიყის კალაპოტი შევიწროვდა. დუქნების აშენებაც იჯარით გასცეს და მგონი ხელშეკრულობაც დასწერეს, მაგრამ აშენება დღესაც არ ჰლირსებია. თელავის მამებმა რომ ეს უკვდავი საქმე გააკეთეს ქაღალდზე და სიამოვნებით ბჭობდნენ დუქნებიდამ შემოსავალს, რიყეში მთის წყალი მოვარდა, კალაპოტში ვეღარ დაეტია, გადმოვარდა ნაპირზე—მოედანზე, კედელს თავი მოუნგრია, ბაზარზე მივარდა და დიდი ზარალი მიაყენა: სარდაფები წყლით გაავსო, დუქნებში ქვიშა შეიტანა და გზა სულ ერთიანად გააფუჭა. ეს მოხდა შარშან გაზაფხულზე. შემდეგ ნაწილი დაქცეულის გალავნისა შეაკეთეს, ხოლო ის ნაწილი, სადაც დუქნები უნდა აეშენებინათ, ისე დაქცეული დაანარჩუნეს იმ მოსაზრებით. რომ დუქნების აშენაბას დაიწყებდნენ. დუქნების აშენება მხოლოდ ეხლა დაიწყეს, როცა ავდრების დრო დადგა.

ძომავალ დუქნების ახლო და მთელ რიყეზე ერთად ერთი ხიდია, რომელიც აერთებს ახალ და ძველ თელავს. ეს ხიდი ისე დაძველდა, დაფუტუროვდა. რომ კოჭები ჩაემტვრა და ჩაწვა. ამას გარდა, კალაპოტის შევიწროებისა გამო ქვეშ წყალი ვეღარ გადიოდა, ზემოდამ გადადიოდა და აქეთ-იქით გზებს აფუჭებდა. ამავე მიზეზით შევიწროებულ რიყის კალაპოტი ამაღლდა, სადუქნე კედელზე გადმოვარდა და დააქცია კიდეც. ეს კედელი და მოედანი, რომ მაინც დაეხსნათ დაქცევისაგან, თელავის მამათა მამამ ხიდი ააშლევინა. წყალს კი გზა გაეხსნა, მაგრამ აფურტკნული ხიდი ვერაფერი სანახავია. საკმე ის არის, რომ ახალ ხიდის გაკეთებას აღარ აპირობენ თურმე. ამ ჟამად დარჩომილ კოჭებზე რამდენიმე ფიცარი გაუდვიათ და ისე დაიარება ხალხი. ხან ერთს ჩაუვარდება ფეხი, ხან მეორეს და ლოცვა-კურთხევას არ იშურებენ. მანდილოსნებს და პატარა ბავშვთ ხომ ძრიელ უჭირდებათ გასვლა გამოსვლა.

ამას გარდა, დიდ შეწუხებაში არიან რიყის პირას მედუქნეები, რომელთა დუქნების წინ არავითარი სიმაგრე არ არსებობს. ავდრის დროს წყალი დუქნებში უვარდებათ და დიდ გაჭირებაში ცვივდებიან. საჭიროა ყველა ამაებს, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება მიექცეს, თორემ ამ რიყემ ისეთი ადიდება იცის, რომ შესაძლებელია ისე ადიდდეს, როგორც არა ეთხელ მომხდარა, რომ მთელ იმ ნაპირას მოვაჭრე-მომუშავეთ სულ ხელი დააბანინოს და ცარიელზედ დასოს. მით უმეტეს, ეს დიდ ხარჯს არ გამოიწვევს და მესაკუთრეთ შეერთებულ ძალით თავიანთ დუქნების წინ ნაპირის გამაგრება არ გაუძნელდებათ, თუ კი მოიწადინებენ. მაგრამ საქმეც ეს არის, რომ ამათ მამულის შემოსავალი უნდათ და პატრონობა კი არა.

მადა-გახელი.

**ქ. ოზურგეთი.** 17 მაისს მოჰხდა კრება ახალ არჩეულ ხმოსანთა ქალაქის მოურავის და მის თანაშემწის ასარჩევად. მოურავად აირჩიეს ვასილ სოფრომის ძე და მის თანაშემწედ ივლიანე ჯაყელი.

აქვე უადგო არ იქნება ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ახალ არჩეულ ქალაქის მოურავის ვინაობაზე. ბ-ნი ვ. ხუნდაძე საშვალოდ განათლებული კაცია. ოზურგეთში აქვს საკუთარი აფთიაკი, რომლის პროვიზორადაც თვითონ ითვლება და ნივთიერადაც კარგა შეძლებულია. აგრედვე ცნობილია, როგორც მუყაითი და შრომის მოყვარე კაცი. არ არის ისეთი საზოგადო საქმე აქ, რომ ბ-ნ ხუნდაძეს მონაწილეობა არ მიეღოს და დახმარება არ აღმოეჩინოს თუ ნივთიერად, თუ შრომით. ამასთან კარგად იცის ქალაქის წესები და დებულებანი. თ. ნ. თავდგირიძე რომ ოზურგეთის ქალაქის მოურავად იყო, ბ-ნი ხუნდაძე მის თანაშემწედ ითვლებოდა; მან თავისი ჯამაგირი ქალაქს შესწირა და სრულიად უჯამაგიროდ მსახურებდა... ასე რომ, შეგვიძლია ვსთქვათ: ჩვენმა ხმოსნებმა კარგი მოურავი აურჩიეს ოზურგეთს, და იმედი უნდა ვიქონიოთ, ენერგიულად შეუდგება თავის მოვალეობის აღსრულებას და იზრუნებს ოზურგეთის საკეთილდღეოდ, რომელსაც ბევრ რამის გაკეთება ეჭირვება...

მოურავის თანაშემწედ არჩეული ბ-ნი ივ. ჯაყელი ეხლაც ქალაქის გამგეობაში საქმის წარმოებლად მსახურებს. საზოგადოების კაცია, ქალაქის საქმეებთან დაახლოვებული და გაგებული, ასე რომ ეს ახალი თანამდებობა კარგად შეუძლია შეასრულოს...

სოფ. **ხვარბეთში** 17 მაისს, ასე საღამოს დროს, გზაზედ მიმავალს ებრაელს, რომელიც ძველ ნოხებს ყიდულობდა სოფლებში, დახვდნენ ბოროტ-გამძრახველები, დაახალეს თოფები, მოჰკლეს და, თუ რამ ებადა, წაიღეს!..

ესეფე-ადა.

**დ. თიანეთი.** ეს მეოთხე წელია, რაც თიანეთის ერთ კლასიანი სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნა ორ კლასიან სასწავლებლად. სასწავლებლისათვის აგებულია მშვენიერი ორ სართულიანი ქვითკირის შენობა, სადაც მოთავსებულია სასწავლებლის ოთახები, შორიდგან მოსიარულე მოსწავლეთათვის ღამე სადგომი ოთახი, მასწავლებელთათვის და სხვა. დიდად სასიამოვნოა თიანეთში ორკლასიან სკოლის არსებობა, მაგრამ სამწუხარო ის არის, როა ეს სკოლა თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს და წარმატებაც არა ეტყობა-რა. ვსთქვათ, ბავშვი დაიარება სკოლაში 3—4 წელიდა, რაკი მშობლები დაატყობენ, რომ წერა-კითხვა საკმარისად ისწავლა, მაშინვე გამოჰყავთ, ან საქონელში ჰგზავნიან და ან მოჯამაგირედ აყენებენ. რამდენისამე წლის უკან წერა-კითხვა თითქმის სრულიად ავიწყდებათ და ისეთივე უვიცნი რჩებიან, როგორც იყვნენ. გლეხს რომ ჰკითხოთ, რატო შენ შვილს არ ასწავლიო და რატომ სწავლა არ გაათავებინეო, მაშინვე გიპასუხებს: «ჩვენს სკოლაში სწავლება ტყუილად დროს დაკარგვაა. შაირების, ჰაპიროსის წევის და ლანძღვა-გინების მეტს არაფერს ისწავლის, და თუნდ რომ გაათავოს, სკოლიდგან ისეთი ნასწავლები არ გამოდიან, რომ უბრალო არზის დაწერა მაინც იცოდეს ან სოფლის მწერლად გამოდგეს. ჯერ ჩვენ სკოლაში გაზდილებს ჩვენთვის არაფერი ურგიათ, ტყუილ-უბრალოდ ოთხ-ხუთ წელს დაიირებიან სკოლაში და მომეტებულის მათგანი ხეირიან წერა-კითხვასაც ვერა სწავლობს და შინ მუშაობასაც სცდებიან. სწავლა რომ გავაგრძელებინო, შინაური მდგომარეობა ხელს არ მიწყობსო.

შარშან თიანეთის სასწავლებელში სწავლა გაათავა ხუთმა მოსწავლემ უცხოებმა, რომლებიც მშობლებმა ორი თელავის სასულიერო სასწავლებელში გაგზავნეს სწავლის გასავრცელებლად. შარშან ენკენისთვიდამ ამ სკოლის მასწავლებელი ბ. გ. იმნაიშვილი გადაყვანილ იქმნა და მის ადგილზედ დანიშნეს ბ-ნი ვ. სირაძე და ერთი ქალების მასწავლებელიც მოუმატეს. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი გ. იმნაიშვილი, რომელიც პირ ნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას.

დათიკო გოგიაშვილი.

## რუსეთი

ომიანობას შედეგად ის მოჰყვა, რომ ასე თუ ისე დაბრკოლდა ვაჭრობა და მრეწველობა რუსეთში. თითქმის ყველგან ისმის ჩივილი, რომ წარმოება შემცირდა, ვაჭრობა დაეცა, მრეწველობა ლამის შესდგეს და ბევრნი დარჩნენ ცუდად, სამუშაო ვეღარ უშოვიათო. ასეთი შეწუხება და მწარე დღე დაადგათ უფრო იმ რაიონებს, სადა წარმოება გაჩაღებული იყო და მრეწველობა გაძლიერებული. იქ მუშა ხალხს ძალიან უჭირს, რადგან სამუშაო ვეღარ უშოვიათ და ცუდად დარჩენას აუცილებლად შიმშილი მოსდევს. გაზეთები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ამ გარემოებას, ეგონათ, როგორმე იოლათ წავა ხალხი და ომიანობის შედეგი საგრძნობელი არ იქმნებაო. მაგრამ ახლა ყველა მიჰხვდა და თავის თვალით ჰხედავს, რა გაჭირებაშია მუშა ხალხი, მეტადრე ქარხნებისა და ფაბრიკის მუშები. სამრეწველო ცენტრებში ათასობით დარჩა ხალხი ცუდად. მართალია, დაარსდა კომიტეტები, რომ უსაქმოდ დარჩენილთ შემწეობა აღმოუჩინონ, მაგრამ ეს კომიტეტები მხოლოდ 2 მ. და 70 კაპ. აძლევს ცოლ-შვილიანს მუშას კვირაში შესაწევრად.

(სარატ. ლისტ.).

## წერილი
### რედაქციის მიმართ.

I

2 მაისს ქ. გორში გამართულ წარმოდგენის ანგარიში, გორის მაზრის ქალთა კრების საზოგადოებისაგან შორეულ აღმოსავლეთის ომში დაჭრილების სასარგებლოდ. შემოსავალი 1) ბილეთების გაყიდვით 385 მან. 30 კაპ. 2) ბუფეტიდამ-48 მან. 50 კაპ. 3) პრემიები 48 მან. 5 კ., სულ შესდგა 481 მან. 85 კაპ; დაიხარჯა წარმოდგენისოვის, განცხადებისთვის და სხვ. 175 მან. 1 კაპ.; დარჩა წმინდა შემოსავალი 306 მან. 84 კაპ.

ამასთანავე დიდს მადლობას ვუძღვნით, როგორც თქვენს, ისე «კავკაზის» რედაქციას ჩემის და ქალთა კომიტეტის მხრივ თქვენს გაზეთებში უსასყიდლოდ განცხადების დაბეჭდისთვის და აგრედვე იმათ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში: ქალბატონთ: ა. მ. ბასოვისას, ა. ვ. მიხაილოვისას, ა. ე. იზუმსკისას, ე. დ. ხარსონისას, ი. ე. კოიდატს, მ. ვ. დანილოვს, ა. ი. აბრაზცოვს, ა. ე. პავლოვსკის და ბ. ბ. ა. მ. ხარსონს, ლ. მ. პანოვს, ი. ე. ყუზანოვს, ლ. ტ. კოსტინს, გ. დ. კარგარეთელს; ბუფეტის გამართვისთვის: ა. ც. მადათოვს, ე. ვ. კოსტანოვს, ე. მ. ენგელმანს, კნ. ნ. მ. ამილახვარს და ა. დ. კარგარეთელს, 259 გორის პოლკის უფროსს, მის აფიცრებს და 1 და 2 არტილერიის მეექვსე ბრიგადის აფიცრებს, პადპალკოვნიკს ნ. ს. ასტაფიევს, ნ. წ. პაგარელოვს და ყველას იმათ, ვინც შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყო ამ საღამოს გამართვას.

კნ. ა. ამილახვრისა.

II

კვირას, 11 აპრილს, № 87 «ივერიაში» წავიკითხე ზაქარია მიქელის ძე გიორგი, იაკობ, ივანე, მერაბ ზუბალაშვილების მოკლე ბიოგრაფია. რადგანაც მე პირადად ამათი მომსწრე ვარ და ამათ შორისაც იყო ცნობილი დავით ზუბალაშვილი, გორში მცხოვრებელი, მამა ყველასთვის ცნობილის ნიკოლოოზ ზუბალაშვილისა, ამისათვის მეტად არ მიმაჩნია, ეს დავით ზუბალაშვილი გავაცნო მკითხველებს.

დავით ზუბალაშვილი იყო გამოჩენილი ვაჭარი გორში,—აბრეშუმეულით, მაუდეულით და ბამბეულით მოვაჭრე; ის იმ დროს დადიოდა სავაჭროთ ლეიფციხს, მოსკოვს, ნიჟნი ნოვგოროდში, როცა არც რკინის გზა იყო და არც ხრეშ დაყრილი გზები, სამოც და ხუთის წლისა იქნებოდა, როცა კიდევ თითონ მიდიოდა სავაჭროთ. შესწყვიტა სიარული 1850 წლებში. დავითი იყო მეთაური გორისა, განთქმული ჭკვიანი კაცი და მიღებული მთელ გორის მაზრაში, ცნობილი დიდ მთავრობასთან. უიმისოთ ქალაქ გორში არა გაკეთდებოდა რა. ყველა იმის დაკითხვით იყო. როდესაც ხელმწიფის მემკვიდრეები მობძანდებოდნენ გორში, ქალაქის მხრით დავით ზუბალაშვილი უნდა მისალმებოდა, სიტყვა ეთქვა და მოეხსენებინა ქალაქის გაჭირვება-დალხინება. თუმცა რუსული არ იცოდა მაგრამ ქართული საუცხოოდ იცოდა და ამ ენით ელაპარაკებოდა. 1852 წ. რომ გორში განსვენებული ალექსანდრე II, ჯერ მემკვიდრე, მობრძანდა, თან ახლდა ბებუთოვი და პირდაპირ გორის ციხეში აბძანდა სანახავათ. იქ დახვდა დავით ზუბალაშვილი, გორელების მხრით მიესალმა და აუხსნა გორის ციხის მნიშვნელობა. ზუბალაშვილმა ისტორიულად კარგად იცოდა გარემოება. იმ დროს მემკვიდრე თავ. ალექსანდრე ერისთავთან ბძანდებოდა, ეხლანდელის თავადის გენერალ ამილახვრის სიმამრთან. ზუბალაშვილიც, ვიდრე წაბძანდებოდა მემკვიდრე, თავადის ერისთავის სახლში იყო. ამ ხანებში განსვენებული საქართველოს მთავარ-მართებელი ვარანცოვიც მოვიდა გორში. მახსოვს, შავი ნაბადით, გრძელი ჩასაცმელით. ხალხი შეიკრიბა გორის სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში, რომელიც დღესაც არსებობს. ვარანცოვთან საჩივარი გაგზავნეს გორელებმა პოლკის ჯარის-კაცებზე, ვენახებში ყურძენს იპარავდნენ, გაახრეს გორის ბაღები. ვარანცოვმა საყვედური უთხრა გორელებს, პოლკი დაგიყენეთო და ვერ შეიმშვნიეთო, თქვენი საჩივრის გამო უნდა გადავიყვანოვო. ზუბალაშვილს უთხრა: ასე როგორ შეგაწუხათ „სალდათების“ ქურდობამა, ის დრო ხომ იცით (კვერნაკი დაანახვა), აქ ლეკები მოგიხტებოდნენ და ცოლშვილით გიკლებდნენ, გაწუხებდნენ ხოლმეო. დავით ზუბალაშვილი ისეთი მოურიდებული, მტკიცე ხასიათისა იყო, რომ პირდაპირ უთხრა ვარანცოვს: ჩვენი შემაწუხებელი თუნდ ლეკი იყოს, თუნდ რუსიო, სულ ერთია ჩვენთვის, ვინც შეგვაწუხებსო. ასე გათავდა ეს საქმე, დიდი მითქმა-მოთქმა იყო გორში: ვარანცოვს როგორ გაუბედა დავით ზუბალაშვილმა ეს სიტყვაო.

გიორგი და იაკობ ზუბალაშვილები, მართალია, მაშინაც მდიდრები იყვნენ, მაგრამ დავითიც უკან არ იყო ჩამორჩომილი. როგორც მოწინავე და საქვეყნო კაცი და სწორედ მოღვაწე, ის უფრო ცნობილი იყო. გიორგი გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული 1850 წელს. იაკობიც ექვსი-შვიდი წლის უკან და დავითი გარდაიცვალა 1862 წელში, დიდის პატივით დაიმარხა. დავითი დიდი მოსწრებული და ამიტომ საყვარელი კაცი იყო გორის მაზრის თავად-აზნაურობისა. ერთხელ განსვენებული ს. ავლევს მცხოვრები დავით ამირეჯიბი ჩამოვიდა გორში. სხვათა შორის, ლაპარაკში დავით ამირეჯიბმა უთხრა დავით ზუბალაშვილს: ვაჭრები მშიშარები ხართო, ერთი უხეირო კაცი ათს ვაჭარს მოგერევათ და გაგცარცვამთო. დავით ზუბალაშვილმა მაშინვე პირში მიახალა: «ვაჟკაცები ჩვენა ვართ, რომ დანა ჯიბეში არ გვიძევს, ხუთას-ათს თუმანს ზურგზედ დავიკერებთ და ათი ათას ვერსზედ უგზო-უკვლოდ სავაჭროთ მივდივართო, ცხენებ-შებმული ჩასაჯდომით, ზარების რეკით. ჩვენ «რაზბონიკებისა» არ გვეშინიან, შენ კი ავლევიდამ რომ გორს ჩამოხვიდე, უნდა იარაღი აისხა, ხმალ-ხანჯალი—საპირისწამლე, სასწრაფო, თოფი თუ დამბაჩაო, ჯიბეში კი ორი მანეთი არ გიძევთ». იქამდის პატივცემული იყო ხალხში, როცა დავით ზუბალაშვილი მოხუცდა და ხანდახან დუქანში ჩამოვიდოდა, ბაზარში რომ შემოვიდოდა და დაინახამდნენ, ვაჭრებს უნდა ყველას ხელები კაბის სახლებში გაეყოთ.

ად. თუთაევი.

## სასამართლო

**დ. თიანეთი.** 29 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე სოფ. ალაჰანში მცხოვრებ სოლომონ მგელიაშვილისა, რომელსაც თავის ძმის მოკვლა ჰბრალდებოდა. საქმე ასე იყო: შარშან თიბათვეში სოლომონ მგელიაშვილი და მისი ძმა თომა გაყრილან. ამ გაყრილობაზედ სოლომონი უკმაყოფილოდ დარჩენილა და იმ დღიდგან განუზრახავს ძმის მოკვლა. გაყრის დროს დაჰმუქრებოდა კიდეც, რომ ცოცხალს არ გაგიშვებო. სოლომონს სდომნია ძმის ჩუმად მოკვლა, მაგრამ დრო ვერ ეპოვნა მხოლოდ თიბათვის 23-ს კი ღამე, როცა თომა ტყეში წასულა ურმით. სოლომონიც უკან ბერდანკით შორი ახლო გაჰყოლია. გათენებისას თომა ტყეში წამოწოლილა დასასვენებლად. თომას ფეხის ჩქამი შემოსმოდა, აეხედნა და სოლომანი ხელში თოფით დაენახნა. ბევრს ხვეწნოდა თომა, ნუ მომკლამ, შენი ღვიძლი ძმა ვარო, მაგრამ გამხეცებულ სოლომნს არცკი დაეცადებინა ამ სიტყვების თქმა წამოწოლილისათვის, დაუცლია თოფი. ტყვიას გულში გაევლო. დაჭრილი თომა მეორე დღეს გარდაიცვალა. სოლომონმა თავი დამნაშავედ არა სცნო ამ შესაზარ ძმის მკვლელობაში. იცავდა ვექილი გ. ჯაფარიძე. ოლქის სასამართლომ სოლომონ მგელიაშვილი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა ყოველივე ღირსებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და თორმეტის წლით კატორგაში გაგზავნა.

ამავე სასამართლომ განიხილა ამ ერთის წლის წინად გუროულებსა და შატილელებს შორის ჩხუბის დროს 13 კაცის მოკვლა და 17 დაჭრილთა საქმე. სასამართლომ მარტო ორი სცნო დამნაშავედ, რომელთაც ორ-ორის კაცის მოკვლა დაუმტკიცდათ და გადაუწყვიტა: ერთს სამის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, მეორეს—ორ წელიწად ნახევარი სიპყრობილეში დაპატიმრება.

დათიკო გოგიაშვილი.

## დეპეშა
(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

29 მაისი.

**მუკდენი.** ჩინელ მცხოვრებთა შორის განუწყვეტლივ ხმა დადის, რომ პორტ-არტურთან 4 დღის განმავლობაში გამწვავებული ბრძოლა იყო, რომელშიაც იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ამბობენ აგრეთვე, რომ იაპონიის ფლოტმა კიდევ დაჰკარგა გემებიო.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობა აცხადებს: «ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმალეთის მთავრობამ რუსეთის ფლოტს დარდანელში გასვლის ნება მისცა, სრულებით სიმართლეს მოკლებულიაო».

**ჩიფუ.** (რეიტ. სააგ.). პორტ-არტურში მყოფ უცხოელ ვაჭრებისაგან მიღებულ წერილებში ნათქვამია, რუსეთის მოხელეებს მიმართეს თხოვნით იმის შესახებ, რომ ნება მისცენ ნორვეგიის გემს „სინტის“-ს პორტ-არტურიდან გაიყვანოს უცხოელები, რომელნიც სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას არ იღებენ. შესაძლებელია, რომ ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნას. თხოვნიდან სჩანს, რომ ნავთსადგურის გასავალი თავისუფალია, რადგან „სინტისი“ დიდი გემია და ომის დაწყებიდან დგას პორტ-არტურში. იალუს ნაპირებზე მცხოვრები ჩინელები იუწყებიან, რომ იაპონელები სამჯერ უკუქცეულ იქმნენ და მხოლოდ შემდეგ მოახერხეს ფინხუანჩენს იქით გადასვლაო.

**სეული.** (რეიტ. სააგ.). რუსებმა გაილაშქრეს კაპსანიდან და დაიჭირეს პატარა ქალაქი ჩანჩჟინთან. ყაზახების ყველა რაზმებმა დაიწიეს ხანჩენის ჩრდილოეთისკენ; ერთი რაზმი ჯერ კიდევ სენჩენშია.

**ბერნი.** დაჭრილმა რუსეთის ელჩმა ღამე კარგად გაატარა. ციების ნიშნები არ ეტყობა. საშიში არაფერია.

**პარიჟი.** რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილ ზოგიერთ გერმანულ გაზეთების საპასუხოდ, რომელნიც ამტკიცებენ, რუსეთ-საფრანგეთის კავშირი შესუსტდაო, „კორესპონდენც პოლიტიკამ“ წერილი დაბეჭდა იმის შესახებ, რომ ამ კავშირს არას დროს არ ჰქონია ასეთი გულწრფელი ხასიათი, როგორც დღესა აქვსო.

**ტამბოვი.** საგუბერნიო საბჭომ დაასრულა მუშაობა და აარჩია ხუთი მცირე კომისია საკითხთა დაწვრილებით განსახილველად. შემდეგი სხდომა ნოემბერში იქმნება. პრინციპიალურად საჭიროდ სცნეს ვოლოსტის სასამართლოს უფლებათა შეზღუდვა და სასამართლოსათვის სისხლის სამართლის და სამოქალაქო განსაკუთრებულ კანონთა კრებულის გამოცემა. საბჭოს აზრით, სანადელო მიწების მფლობელობა უნდა დარჩეს, მხოლოდ გაადვილებულ უნდა იქმნას კერძო-მესაკუთრეობაზე გადასვლა, განსაზღვრულ უნდა იქმნას ნადელები, მოსპობილ უნდა იქმნას მამულების ნაწილ-ნაწილად დაყოფა, საგლეხო გამიჯვნის საქმეები საგლეხო დაწესებულებათ უნდა გადაეცეს, სანამ შეცვლილ იქმნება სასამართლოებში სამიჯნო საქმეთა განხილვის არსებული წესი, რომლის გამო საქმის წარმოება დიდ-ხანს გრძელდება და ძვირად ჯდება. საბჭომ ერთხმად მიიღო პლევაკოს შემდეგი წინადადება: ვოლოსტის სასამართლოსათვის განზრახულ კანონთა კრებულში უნდა შეტანილ იქმნას ერთი ახალი თავი უსამართლო დადგენილებათა განსაჩივრებისა

და მსაჯულთა პასუხის გების წეს-რიგის შესახებ.

**კოსტრომა.** საგლეხო კანონმდებლობის განსახილველად შემდგარმა საბჭომ საჭიროდ სცნო ვოლოსტის სასამართლოს გაუქმება და სამ სხვა-და-სხვა გვარ სოფლის ყრილობათა დაწესება: ადმინისტრატიულისა, რომელიც რამდენიმე სოფელს შეიცავს, სამეურნეოსი, რომელიც საზოგადოების ინტერესებს იცავს და სასოფლოსი, რომელიც თავის სოფლის საჭიროებათა შესახებ ზრუნავს.

**პარიჟი.** დღევანდელ სხდომაზე მინისტრ- პრეზიდენტმა კომბმა შენიშვნაზე საპასუხოდ განაცხადა, რომ ორი თვით წინ, სანამ მე და ჩემ შვილს დაგვწამეს კარტეზიანელებისაგან მილიონი ფრანკი ქრთამის აღება, ორი მილიონი ფრანკი მაძლიეს, რათა მათთვის სასარგებლო კანონ-პროექტი წარმომდგინა. პალატამ დაადგინა, დანიშნულ იქნას კომისია ამ საქმის განსახილველად.

30 მაისი.

**ტოკიო,** დალნის დაჭერის დროს იაპონელელს ყოვლის უწინარეს ცეცხლის ჩაქრობა დასჭირდათ. ცეცხლისაგან განადგურებულია თითქმის ქალაქის მეხუთედი ნაწილი. ქალაქისა და მართებლობის შენობანი, სკოლები და რკინის გზის სადგური ცეცხლმა გაანადგურა. ფოსტა და ტელეგრაფი დაუზიანებელია. იაპონელმა ინჟენერებმა ააფეთქეს ბევრი ნაღმი, რომლებიც ქუჩაზე დაეწყოთ რუსებს.

**ლონდონი.** («რეიტ. საag.») ვაშინგტონიი მთავრობამ არ იცის, რომ იაპონიის მიჰყიდეს წყალ-ქვეშმავალი ნავი «პროტექტორი», სახელმწიფო დეპარტამენტშიც მოსამსახურენი კი აცხადებენ, რომ ეს საკითხი უმნიშვნელოაო. რადგან სახელმწიფო სეკრეტარმა ფიშმა განმარტა, რომ ნაღმიანი ნავი, რომელიც გემზე დაიდება, საქონლად უნდა ჩაითვალოს, და ეს საქონელი შეუძლიათ ნეიტრალიტეტის დაურღვევლად მიჰყიდონ მებრძოლ სახელმწიფოს, თუმცა უკანასკნელთა მტრებს შეუძლიათ ხელში ჩაიგდონ იგიო.

**სოფია.** (ოპოზიც. წრეებ.). მინაგანსექმეთა მინისტრმა გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც აცხადებს, რომ 1 ივნისიდან სერბიიდან მოსულ ან სერბიაში მიმავალ მგზავრებს გზის ფასი არ გადახდებათ და თავისუფლად შეუძლიანთ იმგზავრონ.—ფინანსთა სამინისტროში სავაჭრო ხელ შეკრულებისათვის საჭირო მასალას ამზადებენ. ამ სამინისტრომ განკარგულება მოახდინა იმის შესახებ, რომ მაკედონიიდან გადახვეწილნი, რომელნიც ბოლგარიაში რჩებიან, ბოლგარიის ქვეშევრდომებად იქნებიან ჩარიცხული, მაშასადამე სამრეწველო გადასახადი უნდა იხადონ.—ოსმალეთის მთავრობის მოთხოვნილებით, ქ. სოფიას პოლიციამ გამოძიება მოახდინა და ჩვენება ჩამოართვა ბოჟიდაროვს, რომელსაც ბრალსა სდებენ, რომ მან გაჰგზავნა დინამიტი ბოლო დროს სალონიკთან მომხდარ აფეთქებისათვის. გამოძიება უნაყოფო იყო.

**კოვნა.** კოვნას ქალაქის მმართველობას სურს დაუპრკოლებლად გაანაღდოს ნება-დართული სობლიგაციო სესხი— 450 ათასი მან. ნებართვაა მიღებული, რომ თვითეულ ძაღლზე 1 მან. გადასახადი დაადონ პატრონთ. ქალაქის საბჭო შუამდგომლობს იმის შესახებ, რომ ველოსიპედებზედაც იქმნას შემოღებული გადასახადი.

31 მაისი

**ტოკიო.** («ვოლფის საag.»). გენერალი ოკუ ოფიციალურად იუწყება, რომ ნანშანის მიდამოებში იაპონელებმა იპოვეს რუსის ჯარის 10 აფიცრისა და 664 დაბალი ჯარის-კაცის გვამები და სამხედრო პატივით მივაბარეთ მიწასაო. ამას გარდა ბანაკის ახლო იაპონელებმა კიდევ დაასაფლავეს 30 მოკლული.

**ლონდონი.** («რეიტერის საag.»). კუროკის ლაშქარში მყოფი კორესპონდენტი იწერება, აწინდელი დრო შემდეგ მოქმედებათა მოსამზადებელი ხანაა. საინტერესო ცნობებს ვერ გაუწყებთ, რადგან გამოაღავნებით შეიძლება გაცხადდეს ჯარის მომავალი თავდარიგი.

**ლიაოიანი.** («რეიტერის საag.«). რუსების უმთავრეს სადგომიდან იტყობინებიან, რომ, როგორც ჩინელებს უთქვამთ, პორტ-არტურთან იაპონელებს დიდი ძალა მიმატებიათ. ფიქრობენ, რომ იაპონელნი მაშინ მიიტანენ ციხეზე იერიშსა, როდესაც ძალა მიემატებათ და ალყას შემოარტყმენ ციხეს ხმელეთით და ამავე დროს უზრუნველ ჰყოფენ თავის თავს ზურგიდან. უმთავრესი ძალა კუროკის ლაშქრისა ფინხუანჩენშია. რუსის ავანპოსტები თვალ-ყურს ადევნებენ იმის ფრთას საიმაძის მიდამოებში და იწევენ აღმოსავლეთად. ისინი მუდამ ხვდებიან მტერსა და თითქმის ყოველ დღე ბრძოლა უხდებათ.

**იალტა.** გაიმართა იმ კომიტეტის ლაზარეთი, რომელმაც შემწეობა უნდა აღმოუჩინოს ყირიმის ნაპირებზე ავადმყოფთა და დაჭრილთა. ლაზარეთი გამართულია მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის პოპოვის ხარჯზე.

**მოსკოვი.** მისიონერთა საზოგადოებამ იაპონიიდან წერილი მიიღო ეპისკოპოს ნიკოლოოზისა. ეპისკოპოზი იწერება, თუმცა ომია, მაგრამ მართლმადიდებელი ეკკლესია სარგებლობს თავისუფლებითა და ხიფათი არ მოელის, მისსიას დარაჯი, უყენია მცველად. მთელს სახელმწიფოში მთავრობამ მიწერილობა გაგზავნა, დაიცვან მართლ-მადიდებელნი.

**ბარცელონა.** სასამართლომ არტელის მსახურს, რომელმაც 30 მარტს განიძრახა მინისტრ-პრეზიდენტის მაურის მოკვლა, ძიუსაჯა 7 წელიწადი და 4 თვე საპყრობილეში დამწყვდევა.

**ჩერნიგოვი.** დაიწყო საგუბერნიო თათბირი გლეხთა კანონდებულების გადასასინჯავად.

31 მაისი.

**პეტერბურგი.** 30 მაისს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

**მადრიდი.** პაიცას ეკკლესიაში, რომელიც მდებარეობს ორენზში, ყუმბარა აფეთქდა და დიდი ვნება მოიტანა. სამი კაცი დაიჭირეს.

**სეული.** (რეიტ. საag.). გაიაში წავიდა იაპონიას, სადაც ექვს კვირამდე დარჩება. იმას უეჭველია დაეკისრება კორეასა და იაპონიის შორის საქმეთა მოწეს რიგება.

**ჩიფუ.** (რეიტ. საag.) „ტაიმსის“ კორესპონდენტი მოვიდა ნიუ-ჩჟუანიდან, რომელსაც იაპონელებმა ალყა შემოარტყეს. ნიუ-ჩჟუანის ციხეს, რომელიც მდინარის პირად მდებარეობს, იარაღი ახსნეს. ფიქრობენ, მდინარეში ჩაწყობილი ნაღმები გატენილი არ არისო, ჩაუდგამთ მხოლოდ ისე მოსაჩვენებლად.—რუსების ქვეითა ჯარი იმავე სიმხნისაა, როგორც ყირიმის ომის დროს. ჯარის კაცნი აღფთოვანებულნი არიან; აფიცრები შეჰყვარებიათ ინგლისელებს, რომელნიც ნიუ-ჩჟუანში ცხოვრობენ. ინგლისელები დიდს მწუხარებას მიეცნენ, რომ ამდენი მეგობრები დაჰკარგეს რუსთაგან იალუს ომის დროს. ნიუ-ჩჟუანს მცხოვრებთ ინგლისელები ძალიან აღელვებულნი არიან, რომ რუსები მიდიან. რუსები განაგებენ პოლიციას და დამოჟნას და ყურს უგდებენ შემოსავალს და ხარჯებსა. მატარებელი დადის ტიანძინს დღეში ორჯელ. მუკდენიდან იტყობინებიან. კუროპატკინის ლაშქარს მუდამ დღე ემატებაო.—იაპონელებსაც ემატება ჯარები პორტ-არტურზედ იერიშის მისატანად.

**ტოკიო.** («რეიტერის საag.»). იაპონიის გოსპიტალში 546 ტყვეა, იმათში 19 აფიცერია, ამათგან დაჭრილია 186 ჯარის-კაცი და 10 აფიცერი.

**ადესა.** საერობო კრებამ დაადგინა. ვიშუამდგომლოთ გავმართოთ საოსტატო სემენარია სხვა ერთა სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად, სცნო საჭიროდ იაფი და გძელვადიანი კრედიტი საერობო დაწესებულებათათვის.

---

დროებით რედაქტორი **ზრ. ჭიჭინაძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
28 მაისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | 45,97½ |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,55 |
| ბერლინში „ . . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . . | 37,55½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 91½ ჩის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 87¼ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 375 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 294 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½%. ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½%. ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . . | 88½ წვ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5%. გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |


# განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



ამერიკის
**ავტომობილები**
ბენზინით მოძრავი
**ველოსიპედები**
ბენზინის მატორებით.
**Акц. О-во „ЭНФИЛЬД“**
**МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.**
СПБ. Морская, № 30.
(10—6—10).



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.
პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.
ბ. მ. მირიმანიანისა.
**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**В. М. МИРИМАНІАНЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—25)

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის
# „ნადეჟდა“-ს
ტფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის
**11 აპრილიდან გადატანილ იქნება**
მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში,
შესასვლელი ეგზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.
საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.
საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108.
(5—6.—5)

**ძვირფასი საჭურჭლე ოქრო და ბრილიანტი**
**როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან**
**მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით**
გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.
ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,
# იაფი გარნიტური
**მხოლოდ 4 მან. 45 კაპ. გამგზავნით**
ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუდღავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბრელოკს, კომპასს ან ბინოკლს ან ვენზელს, 4) საწერ იარაღს- რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მეშის კოხტა ქისას სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტყავის, პორტმონეს ქალისათვის; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.
**ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოუგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.**
მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:
*Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Лувръ“. Варшава 32/323*
აზიის რუსეთში და ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—3)

ს.-პეტერბურგის კომპანია
# „ნადეჟდა“
ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის, გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.
**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** . . . . . | **1.650.000 მან.** |
| **სათადარიგო თანხა** . . . . . | **2.664.808 მან.** |

დაზღვევის ოპერაციები.
ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.
ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავ-მოძრავ ქონებისა.
გ) დაზღვევა უოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) დაზღვევა ფულისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.
დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.
გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.
სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.
ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—32)

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე
# ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისში.
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).
**ტელეფონი № 741.**
აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საათფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთეულება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, ათვთიაქო და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა და სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი სპირთვარემთ სამკაული თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (ღუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვ.
ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.


Дозволено цензурою Тифлисъ 31 мая 1904 г.
Тип Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.